დამტკიცებულია 2020 წლის 20 ნოემბრის N 50/20 ოქმით
ცვლილება 2021 წლის 19 თებერვლის 06/21 ოქმით

ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტების ჩარიცხვის წესი

1. წესის მიზანი

1.1 ამ წესის მიზანია საქართველოს უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) საგანმანათლებლო პროგრამებზე აბიტურიენტთა/მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვის პირობების განსაზღვრა.

1.2 ამ წესით განსაზღვრულ აბიტურიენტებს/მაგისტრანტობის კანდიდატებს/სტუდენტებს უფლება აქვთ ისწავლონ ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე.

2. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტებისათვის/მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის/სტუდენტებისათვის დაწესებული მოთხოვნები

2.1 ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლა, ამ წესის შესაბამისად და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) აბიტურიენტებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

ბ) სტუდენტებისათვის, რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 2 ან მეტი წლის განმავლობაში და სწავლობენ უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2.2 საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლა, ამ წესის შესაბამისად და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის, რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 2 ან მეტი წლის განმავლობაში და რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით;

გ) სტუდენტებისთვის, რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 2 ან მეტი წლის განმავლობაში და სწავლობენ უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში.

3. I ეტაპი - ონლაინ რეგისტრაცია UG-ზე

3.1 აპლიკანტი ონლაინ რეგისტრაციას გადის ვებ-გვერდზე www.ug.edu.ge (იხ. ბმული).

3.2 ონლაინ რეგისტრაციის შემდეგ უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური (სუს) აპლიკანტს ელ-ფოსტაზე უგზავნის ინფორმაციას მისაღები გამოცდ(ებ)ის თარიღის შესახებ. აპლიკანტს ეცნობება, რომ ვიდეო გასაუბრება ინგლისური ენაში იწერება. ვიდეო ჩანაწერი გამოიყენება მხოლოდ აპლიკანტის ინგლისური ენის ცოდნის დონის დადგენის მიზნით.

3.3 ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლაში (მედიცინის პროგრამაზე; სტომატოლოგიის პროგრამაზე), ონლაინ რეგისტრაციის შემდეგ აპლიკანტი ონლაინ რეჟიმში წერს მისაღებ გამოცდას. მისაღები გამოცდის მიზანია ფიზიკა-მათემატიკაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში შესწავლილი მასალის ცოდნის დადასტურება. (იხ. გამოცდის ნიმუში). აპლიკანტს მისაღები გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება თუ მის მიერ მიღებული შეფასება, გამოცდის თითოეულ კომპონენტში, მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 51%-ის ტოლია. თუ შედეგი არადამაკმაყოფილებელია, აპლიკანტს უფლება აქვს განმეორებით გავიდეს მისაღებ გამოცდაზე. განმეორებითი გამოცდის თარიღის შესახებ აპლიკანტს ეცნობება ელ-ფოსტაზე უნივერსიტეტის სუს-ის მიერ.

3.4 აპლიკანტთან ონლაინ რეჟიმში ტარდება ვიდეო გასაუბრება ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადგენის მიზნით. ვიდეო გასაუბრება ინგლისური ენაში ჩაიწერება.

3.5 მისაღებ გამოცდაზე გასვლა და ინგლისურ ენაში გასაუბრება უფასოა.

4. II ეტაპი - დოკუმენტაციის წარმოდგენა

4.1 I ეტაპის წარმატებით გავლის შემდეგ აპლიკანტი მოთხოვნილ დოკუმენტაციას წარმოადგენს უნივერსიტეტის სუს-ში. მოთხოვნილი დოკუმენტაციის (ნოტარიალურად დამოწმებული ასლების) წარმოდგენა შესაძლებელია ფოსტის ან აგენტის მეშვეობით. უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტები უნდა იყოს თარგმნილი ქართულ ენაზე და დამოწმებული ნოტარიუსის მიერ.

4.2 წარმოსადგენ დოკუმენტაციას განეკუთვნება:

- მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- საბაკალავრო და ერთსაფეხურიან პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთათვიას - უცხო ქვეყანაში მიღებული სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთათვის - უცხო ქვეყნის მიერ აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- მობილობით ჩარიცხვის მსურველთათვის - უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების დამადასტურებელი დოკუმენტი, შესაბამისი საგნ(ებ)ის სილაბუსი ან/და მოკლე აღწერილობა.
- რეგისტრაციის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი -

(1) თუ აპლიკანტი თავად უზრუნველყოფს დოკუმენტაციის თარგმანს და ნოტარიალურად დამოწმებას, აპლიკანტი წარმოადგენს მხოლოდ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მომსახურების საფასურის 120 ლარის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს (იხ. საბანკო რეკვიზიტები)

(2) თუ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აპლიკანტისთვის დოკუმენტაციის თარგმანს და ნოტარიალურად დამოწმებას, აპლიკანტი უნივერსიტეტში იხდის რეგისტრაციის საფასურს 100 აშშ დოლარს, რომელიც მოიცავს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მომსახურების საფასურსაც (120 ლარი). (იხ. საბანკო რეკვიზიტები; დანიშნულებაში მიუთითეთ - რეგისტრაციის საფასური);

5. III ეტაპი - განცხადება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში

5.1 უნივერსიტეტის სუს-ი აპლიკანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, ინგლისურ ენაში გასაუბრების დამადასტურებელ ვიდეო ჩანაწერს და ტესტს, მისაღებ გამოცდაში მიღებული შედეგების შესახებ ინფორმაციას (მედიცინის პროგრამის შემთხვევაში) და უნივერსიტეტის თანხმობას სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში არსებულ ვაკანტურ ადგილზე აპლიკანტის მიღების შესაძლებლობის თაობაზე (სახელის, გვარისა და ფაკულტეტის/სპეციალობის მითითებით) აგზავნის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

6. IV ეტაპი - ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება

6.1 განათლების სამინისტროს მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ:

6.1.1 სუს-ი აპლიკანტს უგზავნის სწავლის საფასურის გადახდის შესახებ ინვოისს;

6.1.2 უნივერსიტეტის სუს-ი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს (სპას-ი) აწვდის ჩასარიცხ პირთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტაციას, სპას-ი ამზადებს უნივერსიტეტის რექტორის მიერ სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ ბრძანების პროექტს;

6.1.3 უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ;

6.1.4 სპას-ი სტუდენტს წარუდგენს ხელშეკრულებას. სტუდენტი ვალდებულია პირველი წლის სწავლის საფასური გადაიხადოს სრულად, ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 დღის ვადაში;

6.1.5 სტუდენტს ეძლევა წვდომა „My UG“ სისტემაზე, სტუდენტი რეგისტრირდება პროგრამით გათვალისწინებულ შემოთავაზებულ საგნებზე.

7. დამატებით ინფორმაცია

დამტკიცებულია 2020 წლის 20 ნოემბრის N 50/20 ოქმით
ცვლილება 2021 წლის 19 თებერვლის 06/21 ოქმით

7.1 ჩარიცხვის პროცედურების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 30/12/2011; N-224/ნ ბრძანებაში.